შ.პ.ს. „კოდორი“ LTD "KODORI"

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

№07/0922 07.09.2022წ.

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „კოდორი“ გეგმავს ქ. თბილისში, ორთაჭალის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 110 კვტ საჰაერო ეგხ „ორთაჭალა 2-3"-ის #17/7-#23/13 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციას (გადატანას). არსებული საჰაერო გადამცემი ხაზის მონაკვეთი წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას და გადის შპს „ას ჯორჯიას“ მიერ, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე.

შპს „ას ჯორჯია“, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ნასყიდობის 26.09.2012წ. ხელშეკრულების თანახმად, ქ. თბილისში, განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული ტერიტორიის ნაწილზე ახორციელებს შენობა-ნაგებობების მშენებლობას. ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 04.06.2018 წლის შეთანხმების პუნქტი 5.1-ის თანახმად, კომპანია ვალდებულია ტერიტორიაზე მოაწყოს არანაკლებ 7,5 ჰექტარი მოცულობის დასასვენებელი პარკი, თუმცა კომპანიის მიერ, პარკისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზი. პარკის მშენებლობის პროექტზე უკვე მიღებულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან (გადაწყვეტილება № 5992816). ვინაიდან აღნიშნული შეთანხმების 5.8 პუნქტის თანახმად, „მყიდველი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ელექტროგადამცემი ხაზების გადატანა“, შპს კოდორი, შპს „ას ჯორჯიასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გეგმავს ზემოაღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის, 110კვ ეგხ "ორთაჭალა 2-3"-ს ანძების გადატანის სამუშაოების განხორციელებას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წერილი, გეოლოგიური ანგარიში, საჰაერო ეგხ-ს საყრდენებისა და საძირკვლების თავფურცელი.

პატივისცემით,
შპს „კოდორის“ დირექტორი
გურამ კვარაცხელია

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„09“ 09 2022წ.
№ 4727